



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### ვარსინის (ვაჭევის) მღვიმე

ვარსინის (ვაჭევის) მღვიმე, კარსტული მღვიმე ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სოფ. ვაჭევში, იმერეთის მაღლობზე, ზ. დ. 740 მ სიმაღლეზე. გამომუშავებულია ზედაცარსულ სქელშრეებრივ კირქვებში. მღვიმეში შესასვლელი იხსნება კაცხურის ხეობის ფსკერისპირა ზოლის მარცხ. ფერდობზე, ვიწრო, 0,5 მ სიმაღლის, ხვრელის სახით. მღვიმე დერეფნული ტიპისაა, აქვს სუბჰორიზონტული ფსკერი და ცალკეული დარბაზული გაფართოებანი. მთელ მანძილზე ნგრევის უხვი მასალაა დაგროვილი. გაედინება ნაკადული, რ-იც შესასვლელთან ნაზვავ მასალაში იფილტრება. მღვიმის ჯამური სიგრძე 960 მ-მდეა, ფსკერის ფართ. - 1400 მ<sup>2</sup>, მოცულობა - 5600 მ<sup>3</sup>. მღვიმეში ჰაერის ტემპ-რა 9°C-მდე აღწევს.

ლიტ.: ტ ა ტ ა შ ი ძ ე ზ., ნ ი ქ ა რ ი შ ვ ი ლ ი კ., ჯ ი შ კ ა რ ი ა ნ ი ჯ., საქართველოს კარსტული მღვიმეების კადასტრი, თბ., 2009.

---